

გამოყენების ინსტრუქცია

ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი

ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი წარმოადგენს ბიო-ადჰეზიურ ორალურ გელს. ის სწრაფად ქმნის დისკომფორტისა და ტკივილისგან ღრძილების დამცავ გამჭვირვალე ფენას. მისი მცენარეული ინგრედიენტები ხელს უწყობს ტკივილისა და სიწითლის შემცირებას დაზიანებულ უბანზე.

აპლიკატორს აქვს სილიკონის ჯაგრისი, რომელიც ახდენს ღრძილების მსუბუქ მასაჟირებას, რაც უზრუნველყოფს კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული დისკომფორტისა და სიმპტომების შემსუბუქებას.



ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი არ შეიცავს ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებებს, სამკურნალო საშუალებებს, ალკოჰოლს ან შაქარს.

ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი არ იწვევს წვის შეგრძნებას წასმისას და აქვს ბანანის სასიამოვნო გემო.

გამოყენების წესი:

აიღეთ დაზიანებული უბნის დასაფარად საკმარისი გელი და ნელა შეიზილეთ ღრძილზე აპლიკატორის გამოყენებით.

ახალგაზრდა პაციენტებში ფენის წარმოქმნისა და ტკივილის შემსუბუქების ხანგრძლივად შენარჩუნებისთვის სასურველია გელის გამოყენება ბავშვის კვების შემდეგ და ძილის წინ. გამოიყენეთ რამდენჯერაც საჭირო იქნება. დაახურეთ ხრახნიანი თავსახური ყოველი გამოყენების შემდეგ. მოაშორეთ პროდუქტის ნებისმიერი ნარჩენი, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს გელის შემდგომ გამოყენებას.

შემადგენლობა:

წყალი, პოლივინილპიროლიდონი (პვპ), მალტოდექსტრინი, პროპილენგლიკოლი, პოლიეთილენგლიკოლი 40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი, *Aloe barbadensis*, ქსანტანის გომიზი, არომატიზატორი, კალიუმის სორბატი, ნატრიუმის ბენზოატი, ეთილენდიამინტეტრამმარმუავას დინატრიუმი, ნატრიუმის ჰუალურონატი, ქსილიტოლი, ცეტილპირიდინიუმის ქლორიდი, გლიცირეტინის მუავა, *Crocus sativus*.

სიფრთხილის ზომები:

აპლიკატორისა და გელის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ყოველი ტუბი ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელით გამოიყენება მხოლოდ ერთი პაციენტისთვის. ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი უკუნაჩვენებია ანამნეზში პრეპარატის ნებისმიერი ინგრედიენტის მიმართ ჰიპერმგრძობელობის მქონე პაციენტებში. თუ ხართ ორსულად, პრეპარატის გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს.

გაფრთხილება და სიფრთხილის ზომები:

ყურადღება:


პრეპარატის წასმა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოზრდილის მიერ.
მოცემული სამედიცინო ხელსაწყო არ არის სათამაშო! არასდროს დაუტოვოთ ის ბავშვს. არსებობს დახრჩობის რისკი!
გამოყენებამდე შეამოწმეთ სამედიცინო ხელსაწყო დაზიანებების ნიშნების თვალსაზრისით და ყურადღება მიაქციეთ, რომ გელის გამოყენების დროს შემთხვევით არ მოძვრეს აპლიკატორის თავი. ამ შემთხვევაში, შეწყვიტეთ მისი გამოყენება.
არ ეცადოთ დაზიანებული ნაწილის ხელახლა მორგებას.
შეწყვიტეთ ხელსაწყოს გამოყენება გელის გაჟონვის შემთხვევაში.
არ გამოიყენოთ ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ ან ტუბის დაზიანებისა თუ გაჟონვის შემთხვევაში. შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე, გამაცხელებელი საშუალებების პირდაპირი ზემოქმედებისგან შორს.
არ გაყინოთ.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

ზედა კბილები



ქვედა კბილები



მოცულობა:

10 მლ

მწარმოებელი:

ალიანს ფარმა სრლ (Alliance Pharma Srl.)
რესტელის გამზირი 5, 20124 მილანი, იტალია

დისტრიბუტორი:

ბერლინ-ხემი აბ (მენარინი ბრუპ),
გლინიკერ ვეგ 125, 12489 ბერლინი, გერმანია

რედაქტირების თარიღი: 09/2016